# სპარტაკიადა ცხრა მთას იქით აღარ არის


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 187 (4181)

1970 წ. 23 სექტემბერი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტში

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ფინალური ნაწილის დაწყებამდე ერთი წელი აღარც დარჩა. ამჟამად ყველა რესპუბლიკაში, მოსკოვსა და ლენინგრადში გაცხოველებული მზადებაა ამ გრანდიოზულ სპორტულ შეჯიბრებაში წარმატებით გამოსვლისთვის.

დიდი მუშაობა გაჩაღდა საქართველოშიც. რესპუბლიკის სპორტულმა ორგანიზაციამ ამჟამადაც მიზნად დაისახა კვლავ საპრიზო ადგილის დაკავება. წინა ოთხივე სპარტაკიადაში საქართველოს დელეგაცია მოწინავეთა რიგებში იყო. საპატიო V ადგილის შენარჩუნებისთვის საჭიროა ვეებერთელა შრომა, რადგან ბოლო ხანებში საგრძნობი წინსვლა ეტყობათ ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების სპორტსმენებს. დადგა დრო, როცა ყოველი დღე, ყოველი საათი მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული სპორტის სახეობათა ნაკრები კოლექტივების მაღალ დონეზე წვრთნისთვის. ნაკრები გუნდების წევრებს შექმნილი უნდა ჰქონდეთ ნორმალური სავარჯიშო პირობები.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა მორიგი სხდომა საორგანიზაციო კომიტეტისა, რომელიც საქართველოს სსრ სპარტაკიადის კარგად ჩატარებისა და ხალხთა V სპარტაკიადაში რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის წარმატებით მონაწილეობის მიზნით შეიქმნა. სხდომას ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი. შეკრებილთ მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის გ. სიხარულიძის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ საორგანიზაციო კომიტეტის 29 მაისის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობას.

მომხსენებელი შეეხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახალი სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხს. მან თქვა, რომ 15 ოქტომბრისთვის ნავარაუდევია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტერიტორიაზე ოთხსართულიანი სასწავლო კორპუსის მშენებლობის დამთავრება და მწყობრში ჩაყენება. ვაკეში მშენებარე ველოტრეკზე დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. ამჟამად წარმოებს განივი კოჭების დაგება, ხოლო 1 დეკემბრისთვის უნდა დამთავრდეს საფენის დაგება. ამ დროისთვის უნდა დასრულდეს თბილისის იპოდრომის დახურული საცხენოსნო-სპორტული მანეჟის მშენებლობაც.

მოსაპირკეთებელი მასალის (ცეკლარის ქვა) უქონლობის გამო ფერხდება მტკვარზე სანიჩბოსნო სადგურის მშენებლობა. „ინჟმშენის" ტრესტს დავალებული აქვს ეს სამუშაო წლის ბოლომდე დაამთავროს, რისთვისაც ადგილობრივი მოსაპირკეთებელი მასალა უნდა გამოიყენოს. ასევე შეჩერებულია სიონის წყალსაცავზე სანიჩბოსნო ბაზის ექსპლოატაციაში გაშვება. თბილისის ტრანსპორტის სამმართველომ ვერ მოახერხა ცხელი შხაპის დანადგარის მონტაჟის დამთავრება, თუმცა ეს 30 აგვისტოსთვის იყო დაგეგმილი. წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს კიროვის სახელობის პარკში მდებარე კალათბურთისა და ხელბურთის მოედნების რეკონსტრუქცია.

„თბილწყალსადენის" ტრესტის მისამართით გამოითქვა შენიშვნა, რომ იგი ცივი და ცხელი წყლით მუდმივად ვერ ამარაგებს იმ ბაზებს, სადაც რესპუბლიკის ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა ტარდება, განსაკუთრებით, ორჯონიკიძის რაიონში.

აღინიშნა, რომ საშენი მასალის ნაკლებობის გამო ნელი ტემპით მიმდინარეობს გასახდელებისა და საშხაპეთა მოწყობა „ლოკომოტივის" სტადიონზე. ამავე საზოგადოების საზაფხულო აუზში მიმდინარეობს ამ ბაზის მთელი მეურნეობის კეთილმოწყობა. რესპუბლიკაში ნელი ტემპით ხორციელდება უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა. საჭირო ტექნოლოგიურ მოწყობილობათა ნაკლებობის გამო ფერხდება ქუთაისში 25-მეტრიანი საწყლოსნო აუზის მშენებლობა, ხოლო რაც უკვე აშენებულია, ისიც დანგრევის პირზეა მისული. მსგავს მდგომარეობაშია საცურაო აუზის მშენებლობა ცხინვალში. ეს მშენებლობა გაჭიანურდა და ფაქტიურად მზა აუზი უკვე თანდათან ინგრევა.

გ. სიხარულიძემ აღნიშნა, რომ „ცეკავშირის" გამგეობა სპორტული ინვენტარით სათანადოდ ვერ ამარაგებს სოფლის რაიონებს. აქ შემოტანილი სპორტული ინვენტარი და აღჭურვილობა უკმარია, ხარისხი — დაბალი, ასორტიმენტი — მცირე.

შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტის სხდომამ მოისმინა ინფორმაციები რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების თაობაზე. ს. ჯაიანმა ილაპარაკა ტანმოვარჯიშეთა ნაკრების წვრთნის ავ-კარგზე. მან აღნიშნა, რომ წლეულს საქართველოს ტანმოვარჯიშეები წარმატებით გამოვიდნენ მთელ რიგ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში, მაგრამ ისიც შეიმჩნევა, რომ დიდად ჩამოვრჩებით ბელორუსიის სპორტსმენებსო. ამჟამად ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა ორჯერადი გახდა.

რესპუბლიკის ძალოსანთა გუნდის მზადების შესახებ ინფორმაციით გამოსულმა გ. გოდერძიშვილმა თქვა, რომ გუნდი დაკომპლექტებულია 12 სპორტსმენით. ძალოსნებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი მწვრთნელები შ. წერეთელი, ვ. ბასილაძე, რ. ტატიშვილი (ყველა — თბილისი), ვ. რადიმაშვილი (სოხუმი) და ი. მუავანაძე (ბათუმი). სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის უკეთ წარმართვას ხელს უშლის მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრის შემდეგ რესპუბლიკის წარმომადგენლები შეძლებენ წარმატებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დასკვნით შეჯიბრებაში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. წერეთელი შეეხო რესპუბლიკის კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდების მზადების საკითხს. მან აღნიშნა, რომ ნაკრები გუნდების მზადებას ალბათ შეაფერხებს სსრ კავშირის პირველობა, რომელიც ნავარაუდევია 1970-1971 წლებში, გუნდების წვრთნისა და სპარტაკიადისთვის მზადებისთვის გვრჩება მხოლოდ 2 თვე. გადაწყვეტილია ვაჟთა ნაკრები გუნდი შეიქმნას თბილისის „დინამოს" კოლექტივის ბაზაზე, გაძლიერდეს იგი თბილისის „ბურევესტნიკის" მოთამაშეებით. ქალთა ნაკრები მთლიანად დაკომპლექტებულია პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის მოთამაშეებით და სპარტაკიადისთვის მისი მზადება ნორმალურად მიმდინარეობს.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის დასასრულს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია ჯეროვნად მოემზადება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის და კვლავაც მოწინავეთა რიგებში იქნება. სამისოდ საჭიროა გაათკეცებული ენერგიით შრომა, ნაკრები გუნდების წევრებისთვის ნორმალური საწვრთნელი პირობების შექმნა.

## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

### ბ. გურგენიძე — დიდოსტატი

◆ ზიგენი, 22 სექტემბერი. ფიდე-ს 41-ე კონგრესის გადაწყვეტილებით, საბჭოთა მოჭადრაკეებს — თბილისელ ბ. გურგენიძესა და ლენინგრადელ ა. კარპოვს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭათ. ეს წოდება მიიღო აგრეთვე ავსტრალიელმა უ. ბრაუნმა. საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა 25 მოჭადრაკეს, მათ შორის, სსრ კავშირის წარმომადგენლებს — მოსკოველებს ი. ბალაშოვს, ო. მოისეევს, ი. ზაიცევს, ე. რუბცოვას, ნ. მედიანიკოვას, ნ. კონოპლიოვას, თბილისელ რ. ჯინჯიხაშვილსა და ოდესელ ვ. ტუკმაკოვს.



სურათზე: საერთაშორისო დიდოსტატი ბ. გურგენიძე.

### ნიკანჩიკოვის ოქროს დაშნა

ანკარა, 22 სექტემბერი. დაშნით ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონის სახელი მესამედ მოიპოვა 30 წლის მინსკელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ნიკანჩიკოვმა. აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მან ოთხი გამარჯვება მოიპოვა. მანამდე ნიკანჩიკოვმა ოქროს მედლები დაისაკუთრა 1966 და 1967 წლებში. შარშან ჰავანაში მას ვერცხლის მედალი ხვდა.

II ადგილზეა კიეველი ს. პარამონოვი.



სურათზე: ა. ნიკანჩიკოვი.



# ნათელი სურათი

## მაქინაციორები სპორტს უნდა ჩამოვაშოროთ

ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ახლახან დამთავრდა ამერიკის ქალაქ კოლუმბუსში, კიდევ დიდხანს იქნება სპორტსმენთა და სპეციალისტთა მსჯელობისა და ანალიზის საგანი. ჩემპიონატი მრავალმხრივ იყო საგულისხმო და უთუოდ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ძალოსნობის ისტორიაში. მაგრამ მემატიანე იმასაც აღნიშნავს, თუ რა ბინძური მაქინაციები უძღოდა ჩემპიონატის დაწყებას. უსათუოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ, როცა დოპინგის საანალიზო კომისიას კომპეტენტური პიროვნებები ჩაუდგნენ სათავეში, პროვოკაციებმა იკლო და სპორტსმენთა დისკვალიფიკაცია აღარ მომხდარა.

მსოფლიოში ყველაზე ღონიერი კაცის ვ. ალექსეევის ტრიუმფალური გამოსვლა კოლუმბუსში საბჭოთა ათლეტების დამაჯერებელი ასპარეზობის გვირგვინი იყო. სხვათა შორის, მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, ამერიკელი ჯ. დიუბი მხოლოდ IV ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო მეორე ამერიკელმა კ. პატერამ, რომელიც ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრს ბაქიბუქობდა, ბრძოლის დაძაბულობას ვერ გაუძლო და უკვე აჭიმვის შემდეგ გამოეთიშა ბრძოლას.

ვითომ დოპინგის გამოყენების გამო რამდენიმე სპორტსმენის დისკვალიფიკაცია რომ არა, სოციალისტური ქვეყნების ათლეტთა წარმატებები კიდევ უფრო დამაჯერებელი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, პირველ ხუთეულში ოთხი ადგილი სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს ხვდათ. გუნდურ I ადგილზე გავიდნენ საბჭოთა ათლეტები — 39 ქულა. თუ ამას დავუმატებთ დისკვალიფიცირებული სმეტანინის ოთხ ქულას, სურათი სავსებით ნათელი იქნება.

განსაკუთრებით იზარალეს პოლონელმა ძალოსნებმა. მათ საბოლოო ჯამში 24 ქულა დააგროვეს და გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდნენ. თუ გავითვალისწინებთ დამატებით შოლტისიკის 5, სმალცეჟის 2, ტრემბიცკის 4 და ნოვაკის 7 ქულას, საბოლოო ჯამში პოლონელებს 42 ქულა ექნებოდათ.

III ადგილზე გავიდნენ უნგრელები — 17 ქულა. 16-16 ქულით IV-V ადგილებს იყოფენ ბულგარეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ათლეტები.

ერთი სიტყვით, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში არის ხალხი, რომელიც სპორტულ იდეალებზე მაღლა თავის მიზნებს აყენებს. ახლა სულ უფრო მეტი ქვეყნის წარმომადგენლები მოითხოვენ მოწვეულ იქნეს ფედერაციის რიგგარეშე კონგრესი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად იმსჯელებენ ასეთი ხალხის მოღვაწეობაზე და მათს ჩამოშორებაზე ძალოსნური სპორტიდან.

• • •

**მსოფლიოში ყველაზე ღონიერი კაცი საწვრთნელი მეცადინეობის დროს სპორტის სხვადასხვა სახეობას მიმართავს. ამ სურათზე ვ. ალექსეევი აღბეჭდილია „საკალათბურთო დაჭერვის" დროს.**

ვ. მასტიუკოვის ფოტო (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება — სპორტს

# სპორტული ორიენტაციის ზოგიერთი თეორიული საკითხი

ადამიანის ქცევა აქტიურობის ისეთი ფორმაა, რომელიც სუბიექტის ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოტივით არის გამოწვეული, ამიტომ პიროვნების ქცევის მიმართულებას, მის შინაარსსა და ფორმას მოთხოვნილების მოტივის ხასიათი განსაზღვრავს.

პიროვნებას, როგორც ბიოლოგიური წარმოშობის სოციალურ მოვლენას, გარემოსთან ურთიერთობის შედეგად შეიძლება ახასიათებდეს დაბალი ან მაღალი დონის მოთხოვნილებანი, იმის მიხედვით, თუ რა სააღმზრდელო და სოციალურ ვითარებაში ხდებოდა მისი ფორმირება, რამდენად ამაღლებულია თავისი ბუნებით, რამდენად გათვითცნობიერებულია.

„ადამიანთა ცხოვრების პირობებთან, — აღნიშნავენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — მათი საზოგადოებრივი ურთიერთობის, მათი საზოგადოებრივი ყოფიერების ცვლილებასთან ერთად იცვლება აგრეთვე მათი წარმოდგენანი, შეხედულებანი, ცნებანი, — ერთი სიტყვით, იცვლება მათი ცნობიერებაც...“

როგორც ვხედავთ, პიროვნების ფორმირების, მისი ქცევათა მიმართულებისა და ორიენტაციისთვის ერთ-ერთ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს ბიოლოგიურისა და სოციალურის ურთიერთობის დიალექტიკური გაგება. ამიტომაც ეს უკანასკნელი სახელმძღვანელო დებულებაა ქცევათა განსაზღვრისა და მისი დიფერენციაციისთვის.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს სპორტი, როგორც ადამიანის ქცევის ფორმა, და სპორტული ორიენტაციის ზოგიერთი პრინციპული საკითხი.

სპორტი თავისი წარმოშობის პირველადი მნიშვნელობით თამაშს, გართობას გულისხმობდა, რომელიც უფრო ინტროგენური (ძალის ამოქმედების შინაგანი მოთხოვნილების იმპულსი) ქცევის ხასიათს ატარებდა. იგი ხორციელდებოდა სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშის სახით, სადაც მთავარი იყო შეჯიბრებაში გამარჯვების მოტივი. შემდეგ, ისტორიული განვითარების პროცესში, სპორტს სხვადასხვა სოციალურ ვითარებაში სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, მონათმფლობელური საზოგადოების ბოლო პერიოდში ფიზიკური აღზრდა და სპორტი მიჩნეული იყო მონათმფლობელთა სამხედრო მომზადების საშუალებად; ბურჟუაზიულ საზოგადოებაში — მსოფლიოს დაპყრობის ერთ-ერთ საშუალებად (ფაშისტურ გერმანიაში). და ბოლოს, თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში სპორტული მიღწევები ფასდება კომერციული თვალსაზრისით, იგი ყიდვა-გაყიდვისა და მოგების საქმედაა ქცეული.

სპორტი ჩვენს ქვეყანაში პრინციპულად განსხვავდება ზემოაღნიშნული მიმართულებისგან და იგი აღიარებულია, როგორც ფიზიკურად ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალება, ჯანმრთელობის განმტკიცების პროფილაქტიკური ღონისძიება და ფსიქომოტორული მაღალი შემოქმედებითი ქცევების ფორმა.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, თანამედროვე საბჭოთა სპორტი, როგორც სპეციფიკური სოციალური მოვლენა, შეიძლება პირობითად სამ ძირითად ფორმად დავყოთ:

1. სპორტი როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალება, რომელიც ემსახურება ძირითადად მოზარდი თაობის ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას, რომელიც განსაზღვრულია კომუნისტური აღზრდის მიზნითა და ამოცანებით და ემორჩილება საბჭოთა პედაგოგიკის ძირითად პრინციპებს, მის კანონზომიერებას.

სპორტის ამ ფორმას პირობით შეიძლება აღმზრდელობითი ანუ პედაგოგიური სპორტი ვუწოდოთ.

სპორტის ეს ფორმა მასობრივი ხასიათისაა და ხორციელდება სავალდებულო წესით სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, როგორც მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საშუალება.

2. სპორტი, როგორც ჯანმრთელობის განმტკიცების პროფილაქტიკური საშუალება, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვარჯიშობათა ნორმატივების დაცვასა და მათ ნაირსახეობათა რაციონალურ შერჩევა-გამოყენებას ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შრომა-საქმიანობის მიხედვით.

სპორტის ამ ფორმას პირობით შეიძლება გამოყენებითი სპორტი ვუწოდოთ. იგი ფართო მასობრივი ხასიათისაა დანიშნულებით.

3. სპორტი, რომელიც ძირითადად მოტივირებულია შეჯიბრებაში გამარჯვების ტენდენციით. სპორტის ეს ფორმა თავის სპეციფიკურ გამოვლინებას პოულობს პიროვნების (თუ კოლექტივის) მაღალ მოტორულ, ინტელექტუალურ, მორალურ და ესთეტიკურ განცდათა სფეროში. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს ფსიქო-მოტორული ნიჭიერება, ამდენად იგი თავისი ბუნებით არ შეიძლება მასობრივი ხასიათისა იყოს, თუმცა, ამავე დროს, ფართო მაყურებლის დიდი ყურადღებით სარგებლობს, როგორც ძალის, სილამაზისა და ნიჭის ერთობლივი გამოვლინების მაღალი ფორმა.

სპორტის ამ ფორმას შეიძლება პირობით შემოქმედებითი სპორტი ვუწოდოთ. სპორტის ამ ფორმაში, წინა ორი ფორმისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენის ბუნებრივ მონაცემებს, მის მიდრეკილებას, ნიჭსა და უნარს, მისი გაწვრთნილობისა და მომზადების შემოქმედებით გამოყენებას. სპორტის ეს ფორმა უფრო ფიზიკური აღზრდის შედეგია და მისი მწვერვალი, ვიდრე საშუალება.

შემოქმედებითი სპორტი ფსიქო-მოტორულ ნიჭიერებასთან ერთად სპორტსმენისგან მოითხოვს თავდადებულ და თანმიმდევრულ შრომას, ზოგ შემთხვევაში — თავგანწირულ მოქმედებასაც.

ამჯერად ჩვენ გვინდა შევჩერდეთ სპორტის ამ უკანასკნელი ფორმის, ესე იგი, შემოქმედებითი სპორტის ზოგიერთ თეორიულ საკითხზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოქმედებითი სპორტისთვის დამახასიათებელია სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვების ძლიერი ტენდენცია. აქ წარმატებაში სპორტსმენის ფიზიკურ, ტექნიკურ, ტაქტიკურ მომზადებასა და მოქალაქეობრივ ღირსებასთან ერთად, განსაკუთრებულ როლს თამაშობს მისი ფსიქო-ფიზიკური მონაცემები ნიჭისა და უნარის სახით.

ნიჭი, როგორც ბუნებრივად მოცემული სუბიექტური თვისება, რომელიც შრომისა და აღზრდის პროცესში ვლინდება და ვითარდება, წარმოადგენს პიროვნების იმ შესაძლებლობას, რომელიც მოქმედებაში დიდი წარმატებით ხასიათდება.

საერთოდ, განასხვავებენ ნიჭიერების ორ ფორმას — ზოგადსა და სპეციალურ ნიჭიერებას. ზოგადი ნიჭიერება არის პიროვნების შემოქმედებითი აქტივობის ის ფორმა, რომელიც რთულ პირობებსა და სიტუაციაში წარმატებით წყვეტს წამოყენებულ ამოცანას.

სპეციალური ნიჭიერება თავის კონკრეტულ შინაარსში პიროვნების მაღალ შემოქმედებით წარმატებას გულისხმობს მოღვაწეობის ამა თუ იმ დარგში — მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში და ა. შ. როგორც ვხედავთ, სპეციალური ნიჭიერება უფრო კერძო ხასიათის მოვლენაა.

როგორც ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგს, ასევე სპორტსაც ახასიათებს თავისი სპეციფიკა, რომელიც სპორტსმენისგან მოითხოვს გარკვეულ მონაცემებს სხვადასხვა სახეობის შესატყვისად.

სპორტის ცალკეული სახეობებისთვის საჭირო თვისებები მეტნაკლებად ყველას ახასიათებს, მაგრამ, ამავე დროს, ზოგიერთი პიროვნება ბუნებით სხვებზე მეტად არის დაჯილდოებული. მას ახასიათებს ამა თუ იმ სახეობისთვის საჭირო საუკეთესო მონაცემები, რამაც სწორი აღზრდის პირობებში შეიძლება სპორტსმენის დიდი მომავალი განაპირობოს.

სპორტული სპეციალური ნიჭიერება, ისევე როგორც საერთოდ ნიჭიერება, არ განისაზღვრება პიროვნების მხოლოდ რომელიმე კერძო ფუნქციონალური თვისებით, იგი ყოველთვის მთლიანად პიროვნულია და ცალკეულ ფუნქციურ თვისებებთან ერთად საჭიროებს პიროვნების სხვა ისეთ მონაცემებსაც, რომლებიც დიდ სპორტულ წარმატებას უზრუნველყოფენ. როგორც მუსიკაში, მაგალითად, სადაც დიდი წარმატებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ კარგი მუსიკალური სმენა, სპორტშიც არ კმარა მხოლოდ ერთი რომელიმე კარგი ფიზიკური თვისება (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა და სხვ.). აუცილებელია სპორტსმენს ჰქონდეს სხვა სათანადო ფსიქო-ფიზიკური მონაცემებიც, მაგალითად, ტაქტიკური აზროვნება, სწრაფი რეაქცია, სწორი ორიენტაცია დროსა და სივრცეში, გამბედაობა, სიმტკიცე, თვითრწმენა, ფიზიკურ თვისებათა რაციონალური გამოყენების უნარი, რომელთა პიროვნული ერთობლიობა გარკვეული მიმართულების აქტივობის გამოვლინებაა.

როცა ვლაპარაკობთ სპორტულ ნიჭიერებაზე როგორც სპორტული სპეციალობის შერჩევისა და ორიენტაციის მნიშვნელოვან ფაქტორზე, საქმისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს მოზარდის პიროვნებაში იმთავითვე ბუნებრივად მზამზარეული, სპორტის რომელიმე სახეობისთვის უკვე ფორმირებული ნიჭი არსებობდეს. ცხადია, არა. ნიჭი და უნარი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა გავიგოთ, როგორც პიროვნების განსაზღვრული მიმართულებითი აქტივობის ტენდენცია, რომლის მატერიალურ საფუძველსაც პიროვნების მორფოლოგიური და ფუნქციონალური მონაცემების თავისებურება წარმოადგენს. აქ ნიჭი, როგორც ამ უკანასკნელთა თვისება, მოცემულია მიდრეკილების სახით, როგორც ნასახი, როგორც პოტენცია, რომლის გამოვლინება, განვითარება და ფორმირება მთლიანად დამოკიდებულია იმ სააღმზრდელო გარემოზე, რომლის ზეგავლენას აქტიურად უნდა განიცდიდეს მოზარდი. როგორც ვხედავთ, ამ საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს აღზრდის სწორი მიმართულება, რომელიც სწავლებისა და აღზრდის პედაგოგიურ საშუალებებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს მოზარდის ბუნებრივ მონაცემებს, მის ინდივიდუალურ თავისებურებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ბუნებრივი მონაცემები დამახინჯდეს ან ატროფირებაც კი განიცადოს.

ერთი სიტყვით, აქ მთავარია აღმზრდელ-მასწავლებლის (მწვრთნელის) პედაგოგიური განათლება, მისი ხელოვნება და ოსტატობა. ცხადია, კარგი სპორტსმენის აღზრდისთვის არ არის საკმარისი ყოფილი სპორტსმენი იყო.

ამ შემთხვევაში პრაქტიკულად საკითხი ეხება იმას, თუ როგორ შეიძლება შევამჩნიოთ და გამოვავლინოთ ის მონაცემები, რომლითაც მოზარდი ხასიათდება. საამისოდ არსებობს ორი გზა: პირველი, როდესაც ხდება მეცნიერული კვლევა სპეციალურად შემუშავებული მეთოდიკით, მაგალითად, ე. წ. ტესტების საშუალებით, რომელთაც ერთგვარი დიაგნოსტიკური ხასიათი აქვთ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კვლევის ამ ფორმას ჯერჯერობით ფართო გამოყენება არ აქვს, რადგან იგი ჯერ კიდევ საჭიროებს ერთგვარ მეცნიერულ დაზუსტებასა და დამუშავებას.

არსებობს მოზარდისთვის სპორტული სპეციალობის შერჩევის მეორე გზა, როდესაც ფიზკულტურისა და სპორტსკოლის მასწავლებელი სწავლა-აღზრდის პროცესში ხანგრძლივი, უშუალო დაკვირვების გზით ამჩნევს და ავლენს მოზარდის იმ ფსიქო-მოტორულ თვისებებს, რომლებიც ერთგვარ ორიენტაციას იძლევიან საბოლოო არჩევანის გაკეთებაში.

მოზარდი თავის მონაცემებს, შესაძლებლობებს, ნიჭსა და უნარს მუდამ ავლენს მოქმედებაში. ამიტომ მასწავლებელმა (მწვრთნელმა) უნდა შენიშნოს, რა ფსიქო-ფიზიკური თვისებებით ხასიათდება მოზარდი, რამდენად იოლად და წარმატებით წყვეტს იგი ამა თუ იმ პრაქტიკულ თუ თეორიულ სპორტულ ამოცანას, როგორ ერკვევა შექმნილ სპორტულ სიტუაციაში, რა მიმართულებით იჩენს ინტერესს და მისწრაფებას, რა ეძლევა, რა უძნელდება და სხვ.

უნდა შევვძლოთ გარჩევა, მოზარდის მოქმედებაში მოპოვებული წარმატება მიღებული ცოდნა-ჩვევების შედეგია თუ ბუნებრივი მონაცემებისა.

მოზარდის სპორტული ნიჭიერების დადგენისას არ არის საკმარისი მარტო ერთი რომელიმე ფიზიკური თვისების აქტივობის შემჩნევა და გამოვლენა. ამასთან ერთად აუცილებელია ფსიქიკური და, საერთოდ, მთლიან-პიროვნული მონაცემების შემჩნევა და გამოვლენა.

სპორტული ქცევა, თუ გნებავთ, კერძოდ, სპორტული წვრთნა, როგორც რთული პედაგოგიური პროცესი, ყოველთვის პიროვნების გარკვეული მოთხოვნილების შინაარსითაა მოტივირებული. ამდენად იგი მიზნობრივი მიმართულების მოქმედებაა და არა უბრალო მექანიკური წვრთნა. ასე რომ არ იყოს, სპორტული წვრთნა აღზრდის სახეს დაკარგავდა და პედაგოგიური პროცესიც აღარ იქნებოდა.

ცხადია, სპორტული სპეციალობის შერჩევის მეორე გზა არ გამორიცხავს პირველს, როდესაც ეს უკანასკნელი მეთოდოლოგიურად და მეთოდურად სწორ მეცნიერულ პრინციპებზე იქნება აგებული. პირიქით: სპორტული მონაცემების გამოვლინების ორივე გზა ურთიერთს განაპირობებს და [illegible]ულ[illegible]ოფს.

**ბ. ნიკოლაიშვილი,**
პროფესორი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე.

# მოწინავეთა რიგებში

სოხუმის № 1 ბავშვთა სპორტსკოლა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. აქ აღზრდილები დღეს სახელგანთქმული სპორტსმენები არიან. დავასახელოთ, მაგალითად, სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ლოლობერიძე, ნ. ძიაპშიპა, ნ. სიმონიანი, მეხიკოს ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი ვ. სანეევი და სხვ.

შარშან ამ სპორტსკოლის აღსაზრდელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს — ნ. ჩარკრუბიანმა სპორტის ოსტატის, ხოლო ლ. პეხოვამ, ი. ჩიხლაძემ, გ. ოსიპენკომ, ზ. ტუზბაიამ და ვ. რომანოვმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივები შეასრულეს აკრობატიკაში.

შარშან საქართველოს პირველობაში და მოსწავლეთა XXII სპარტაკიადის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონობა დაისაკუთრეს ა. პოლოსიანმა, ლ. ლავრენტიევამ, ლ. კუკაშვილმა, პ. ოვჩინიკოვმა და სხვ.

აფხაზეთის ნაკრების 70 პროცენტს ამ სპორტსკოლის სპორტსმენები შეადგენენ. ეს ციფრი მოწმობს, რომ სკოლაში კარგად არის დაყენებული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით დირექტორს თ. მესხს, სასწავლო ნაწილის გამგეს ვ. გოგიას და სხვა პედაგოგებს.

წლეულს სპორტსკოლაში მუშაობს 62 ჯგუფი 12 სახეობაში, რომლებშიც 720-მდე მოსწავლე ვარჯიშობს. ჯგუფების ხელმძღვანელებად მუშაობენ გამოცდილი მწვრთნელები ვ. კრილოვა, გ. ქირია, ც. ხორბელია, გ. შონია, ვ. ავიძბა, თ. ტოლკაჩოვა, ვ. მიხეევა, ნ. სანაია და სხვ.

სკოლა კარგად მოემზადა ახალი სასწავლო წლისთვის. გაკეთდა ტანვარჯიშული დარბაზისა და საწყლოსნო სადგურის კაპიტალური რემონტი, შეიძინეს ახალი ინვენტარი.

სექტემბერ-ოქტომბერში № 1 სპორტსკოლის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ სოხუმის V სპარტაკიადაში სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა შორის. ისინი გამოვლენ აფხაზეთის მოსწავლეთა სპარტაკიადაში და ბევრ სხვა შეჯიბრებაში.

**გ. იაშვილი.**
სოხუმი. (ჩვენი კორ.).

კარტინგის თბილისელი ოსტატი რ. აკოფოვი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრია. ამ სურათზე თქვენ მას ასპარეზობის დროს ხედავთ.

ა. სააკოვის ფოტო.



## სსრ კავშირის პირველობა

**ფეხბურთი 1970**

# 0:0

მოსკოვი, 21 სექტემბერი. საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და „ნეფთჩი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ—0:0.

### I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყაირათი“ (ალმა-ათა) | 32 | 19 | 7 | 6 | 54—21 | 45 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 32 | 16 | 11 | 5 | 43—19 | 43 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 32 | 17 | 8 | 7 | 39—21 | 42 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 32 | 12 | 15 | 5 | 35—20 | 39 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 32 | 15 | 8 | 9 | 41—27 | 38 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 32 | 15 | 8 | 9 | 44—35 | 38 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 32 | 15 | 7 | 10 | 35—24 | 37 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 32 | 14 | 9 | 9 | 28—28 | 37 |
| „შახტიორი“ (ვოროშილოვგრადი) | 32 | 11 | 12 | 9 | 32—31 | 34 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 32 | 11 | 11 | 10 | 36—27 | 33 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 32 | 11 | 10 | 11 | 31—24 | 32 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 32 | 12 | 6 | 14 | 29—31 | 30 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 32 | 8 | 13 | 11 | 19—26 | 29 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 32 | 8 | 13 | 11 | 20—29 | 29 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 32 | 9 | 11 | 12 | 26—39 | 29 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 32 | 10 | 9 | 13 | 26—40 | 29 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 32 | 9 | 8 | 15 | 34—46 | 26 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 32 | 7 | 11 | 14 | 27—35 | 25 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 32 | 7 | 11 | 14 | 27—38 | 25 |
| ასკ (კიევი) | 32 | 9 | 6 | 17 | 33—42 | 24 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 31 | 7 | 8 | 16 | 23—40 | 22 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 31 | 5 | 6 | 20 | 18—57 | 16 |

### II ჯგუფი

II ზონა

19 სექტემბერი. „ლოკომოტივი“ (კალუგა) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 3:0, „დინამო“ (ბრიანსკი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 0:1, „მეტალურგი“ (ტულა) — „დინამო“ (კიროვაბადი) 4:0, „ვოლგა“ (კალინინი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 2:0, „სატურნი“ (რიბინსკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 0:0, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:0, „ვოლგა“ (გორკი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 0:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 1:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 32 | 19 | 10 | 3 | 47—19 | 48 |
| „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) | 31 | 16 | 11 | 4 | 39—13 | 43 |
| „მეტალურგი“ (ტულა) | 32 | 16 | 10 | 6 | 64—27 | 42 |
| „ვოლგა“ (კალინინი) | 32 | 17 | 8 | 7 | 45—24 | 42 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 32 | 13 | 12 | 7 | 31—28 | 38 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 32 | 12 | 11 | 9 | 33—33 | 35 |
| „ლოკომოტივი“ (კალუგა) | 32 | 11 | 13 | 8 | 34—36 | 35 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 32 | 13 | 8 | 11 | 38—36 | 34 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 33 | 10 | 14 | 9 | 33—32 | 34 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 32 | 12 | 9 | 11 | 41—33 | 33 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 32 | 8 | 15 | 9 | 30—30 | 31 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 30 | 11 | 8 | 11 | 25—27 | 30 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 32 | 11 | 6 | 15 | 33—33 | 28 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 29 | 10 | 8 | 11 | 29—32 | 28 |
| „დილა“ (გორი) | 30 | 10 | 8 | 12 | 35—40 | 28 |
| „სატურნი“ (რიბინსკი) | 32 | 7 | 14 | 11 | 28—38 | 28 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 29 | 8 | 10 | 11 | 30—31 | 26 |
| „სტალი“ (ვოლგოგრადი) | 32 | 6 | 13 | 13 | 27—34 | 25 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 28 | 8 | 9 | 11 | 21—29 | 25 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 32 | 8 | 8 | 16 | 30—45 | 24 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 32 | 4 | 9 | 19 | 20—60 | 17 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 32 | 4 | 8 | 20 | 17—50 | 16 |

### „გ“ კლასი

II ზონის I ქვეჯგუფი

# რუსთავში

21 სექტემბერს ვანში ადგილობრივმა „სულორმა“ მიიღო ზონის ლიდერი — რუსთავის „მეტალურგი“.

პირველ წრეში „სულორმა“ მარცხი იწვნია რუსთავში, ამიტომ იგი სარევანშოდ იყო განწყობილი. გუნდმა თამაში დაიწყო სწრაფ ტემპში, ინიციატივიანად და უპირატესობა არ დაუთმია ბოლომდე. ლიდერის შესახებ კი უნდა ითქვას, რომ მან ვერ დატოვა ის შთაბეჭდილება, რომელსაც მოელოდნენ. გარდა იმისა, რომ სტუმრები თამაშის მაღალი კლასით არ გამოირჩეოდნენ, ისინი განუწყვეტლივ უხეშობდნენ და არღვევდნენ წესს.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა. მე-19 წუთზე რჩეიშვილმა მიიღო ავალიანის გადაცემა და ზუსტად დაარტყა კარში. გაიმარჯვეს ვანელებმა — 1:0.

ა. ნიკოლეიშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ვანი.

### ისევ კლუბები

ამავე დღეს მახარაძეში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მერცხალი“ და ფოთის „კოლხეთი“. გაიმარჯვეს ფოთელებმა — 2:1.

ტყიბულის „მეშახტემ“ თავის მინდორზე დაამარცხა თელავის „კახეთი“ — 2:1.

# კვლავ გამარჯვება!

ზიგენი, 21 სექტემბერი. დღეს დილით XIX საჭადრაკო ოლიმპიადაში მოეწყო წინადღით გადადებული პარტიების დამთავრება. დიდ ინტერესს იწვევდა სსრ კავშირ — აშშ-ს გუნდების მატჩის ორი გადადებული პარტია. პოლუგაევსკიმ შესანიშნავად ისარგებლა ამერიკელი ევანსის უზუსტო თამაშით და კონტრშანსები შექმნა. თამაში გათანაბრდა და მეტოქენი დაზავდნენ. ვერც ლომბარდიმ გამოიყენა უპირატესობა და გელერს ყაიმზე შეუთანხმდა. ამრიგად, მატჩი საბჭოთა დიდოსტატებმა მოიგეს — 2,5:1,5.

საღამოს „ზიგენლანდჰალეს“ ვრცელ დარბაზში შედგა VII ტური. სსრ კავშირის გუნდი შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს. საბჭოთა გუნდი ბრძოლაში ასეთი შემადგენლობით ჩაება: სპასკი, პეტროსიანი, კორჩნოი, სმისლოვი.

შესვენებამდე მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა: სპასკი — ულმანი და სმისლოვი — ბაუმბახი ყაიმზე შეთანხმდნენ. პეტროსიანმა და კორჩნოიმ პარტიები მოსაგებ მდგომარეობაში გადადეს.

ოლიმპიადის ლიდერები — უნგრელი მოჭადრაკეები შეხვდნენ იუგოსლავიის გუნდს. იუგოსლაველთა ნაკრებმა სარბიელი გამარჯვებულმა (2:1) დატოვა, მათმა ლიდერმა გლიგორიჩმა შეძლო პორტიშის დამარცხება. ერთ გადადებულ პარტიაში კი ისინი ალბათ ყაიმის მეტს ვერ მიაღწევენ. მაშასადამე, ამ უაღრესად მნიშვნელოვან მატჩს იუგოსლაველები იგებენ.

აშშ — გფრ-ის გუნდების შეხვედრაში ოთხივე პარტია გადაიდო. ფიშერმა უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია უნციკერთან.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ უნგრელებს 16 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვთ, სსრ კავშირის გუნდს — 15,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

• • •




სურათზე: XIX საჭადრაკო ოლიმპიადის დარბაზის ხედი.

# კონგრესმენები გჭობენ

ზიგენში, სასტუმრო „კაიზერგარდენის“ საკონფერენციო დარბაზში, მუშაობას შეუდგა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) 41-ე კონგრესი. როგორც ყოველთვის, ჯერ მიმდინარეობს ცენტრალური კომიტეტის, საკვალიფიკაციო კომიტეტისა და თამაშის წესების კომისიის სხდომები. ეს ორგანოები ამზადებენ რეკომენდაციებს გენერალური ასამბლეისთვის.

რა თქმა უნდა, კონგრესმენთა მუშაობა ოლიმპიადის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია. კონგრესმა ბევრ მათგანს ახალი წოდება უნდა მიანიჭოს, გადაწყვიტოს მსოფლიო პირველობის გათამაშების სხვადასხვა საკითხი... რა გასაკვირია, რომ კონგრესი „ლელოს“ მკითხველებსაც აინტერესებთ: მისი ზოგიერთი გადაწყვეტილება ხომ საქართველოს მოჭადრაკეებს შეეხება. ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა დაადგინოს, სად და როდის ჩატარდება ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირი (მასპინძლობის სურვილს გამოთქვამენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციები). ამ ტურნირში, როგორც იცით, ნ. ალექსანდრიამ უნდა ითამაშოს. საკვალიფიკაციო კომიტეტმა უნდა განიხილოს გასულ ზამთარს თბილისში ჩატარებული ვ. გოგლიძის მემორიალის შედეგები და რეკომენდაცია გაუწიოს ბ. გურგენიძეს საერთაშორისო დიდოსტატის, ხოლო რ. ჯინჯიხაშვილს — საერთაშორისო ოსტატის წოდების მინიჭებაზე.

კონგრესმენთა სხდომების ამბები ძალიან ძუნწად გამოდის გარეთ, თუმცა ოლიმპიელებს სული მისდით ინტერესით. ამბობენ, რომ 16 სექტემბერს მწვავე დისკუსია გაჩაღდა საზონათაშორისო ტურნირში ფიშერის დაშვების საკითხთან დაკავშირებით. როგორც იცით, ამერიკელ დიდოსტატს ამ ტურნირში თამაშის უფლება არა აქვს. არც ამერიკის ჭადრაკის ფედერაცია აძლევს მას ერთ თავის ადგილს, რაკი ფიშერმა შესარჩევ ტურნირში არ ითამაშა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია კონგრესმენთა გადაწყვეტილებაზე. ბევრს სურს დაუშვან ფიშერი მსოფლიო პირველობის გათამაშების მიმდინარე ციკლში. მოწინააღმდეგენი კი ამბობენ: არ გვაქვს გარანტია, რომ ფიშერი არ მიატოვებს ამ ტურნირსაცო. მაგალითად მათ 1967 წლის სუსში გამართული საზონათაშორისო ტურნირი მოჰყავთ. თუ ფიშერს საზონათაშორისო ტურნირში თამაშის უფლება მისცეს, შენიშნავენ ამერიკელი დიდოსტატის მოწინააღმდეგენი, — უნდა მოვთხოვოთ მას მტკიცედ დაემორჩილოს ფიდე-ს ყველა მოთხოვნასო.

საინტერესოა, რომ თვით ფიშერი არ ამბობს, ფიქრობს თუ არა საზონათაშორისო ტურნირში თამაშს. მას თავი ძალიან მორიდებულად უჭირავს. ამის გამო ერთ-ერთი დასავლეთგერმანული გაზეთის კორესპონდენტმა თავის წერილს ასეთი სათაური მისცა: „ბობიც კი კმაყოფილია“. კორესპონდენტს მხედველობაში აქვს ოლიმპიადის სანიმუშო ორგანიზაცია.

მალე საქვეყნოდ გამოცხადდება კონგრესის მუშაობის შედეგები. გენერალური ასამბლეა 26-27 სექტემბერს შედგება.

# სპასკი — ფიშერი

გრიუნფელდის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. cd მ:d5 5. e4 მ:c3 6. bc კg7 7. კc4 c5 8. მe2 მc6 9. კe3 0—0 10. 0—0 ლc7 11. ეc1 ეd8.

ამ დაცვის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი მძაფრ პოზიციებს წარმოშობს. ეს რომ არ იყოს, შავები ცენტრს არ დათმობდნენ. ზუსტად ზემომოყვანილი სვლები გაკეთდა სპასკი — ფიშერის პარტიაში, რომელიც სანტა-მონიკაში (აშშ) გათამაშდა 1966 წელს.

სპასკი აუმჯობესებს საიერიშო გეგმას: უფრო ენერგიულად უტევს მეფის ფრთას. მანამდე იგი იერიშს ამზადებს.

12. h3 b6 13. f4 e6 14. ლe1 მa5 15. კd3 f5 16. g4 fe 17. კ:e4

მრისხანედ გამოიყურებოდა თეთრი პაიკების მწკრივი. ფიშერი არღვევს მას და თმობს e4 უჯრას, რაც, რასაკვირველია, თეთრებს ინიციატივის სადავეებს აძლევს.

17. ... კb7 18. მg3 მc4 19. კ:b7 ლ:b7 20. კf2 ლc6 21. ლe2 cd 22. cd b5 23. მe4.



იერიშის გაღვივების მიზნით სპასკი პაიკს სწირავს. ფიშერის მეფის პოზიცია საკმაოდ დასუსტებულია. ამიტომ იგი დაცვაზე ფიქრობს.

23. ... კ:d4 24. მg5 კ:f2+ 25. ე:f2 ეd6 26. ეe1 ლb6 27. მe4 ეd4 28. მf6+ მფh8 29. ლ:e6 ეd6

ენდშპილი ფიშერისთვის აშკარად უიმედო იქნებოდა: თეთრი ეტლები დაუბრკოლებლად შეიჭრებოდნენ შავების განლაგებაში. ამიტომ ამერიკელი თავს არიდებს ლაზიერების გაცვლას.

30. ლe4 ეf8 31. g5 ეd2 32. ეe1 ლc7 33. ე:d2 მ:d2 34. ლd4 ეd8

არ შეიძლება 34. ... მ:f1, 35. მe8+-ის გამო ლაზიერის მოგებით.

35. მd5+ მფg8 36. ეf2 მc4 37. ეe2 ეd6 38. ეe8+ მფf7 39. ეf8+ და ფიშერი დანებდა, რადგან 39. ... მფ:f8 40. ლh8+ მფf7 41. მ:c7 ულაზიეროდ რჩებოდა.

თ. გიორგაძის შენიშვნები.

◆ საბჭოთა ნაკრებმა სძლია ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს — 2,5:1,5.

◆ სად ითამაშებს ნანა ალექსანდრია?

◆ დაუშვებენ თუ არა რ. ფიშერს?

# „მილიონთა თასი“

საბჭოთა ქვეყნის 8 ქალაქში 19 სექტემბერს გაიმართა ფიზკულტურის კოლექტივებს შორის საკავშირო თასის გათამაშების მეორე ეტაპის მატჩები.

შეხვედრები ასე დამთავრდა: „ტაშკაბელი“ (ტაშკენტი) — „პოლიგრაფისტი“ (ბლაგოვეშჩენსკი) 3:2, „სელმაშოვეცი“ (ფრუნზე) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 1:2, „შახტიორი“ (მაკეევკა) — „სტარტი“ (ტალინი) 1:0, „სტრელა“ (მოსკოვი) — „სპუტნიკი“ (მინსკი) 1:0, „ცემენტნიკი“ (ლვოვის ოლქი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:0, „ავანგარდი“ (სიმფეროპოლი) — „ავანგარდი“ (კრივოი როგი) 3:1, „ნევეჟისი“ (კედაინიაი) — „მორიაკი“ (რიგა) 3:1.

ცხაკაიას „ეგრისის“ გამარჯვებაზე ლენინგრადის „დინამოსთან“ (3:1) ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით.

26 სექტემბერს შედგება მეოთხედფინალის მატჩები: „გეოლოგი“ — „ტაშკაბელი“, „შახტიორი“ — „სტრელა“, „ცემენტნიკი“ — „ეგრისი“, „ნევეჟისი“ — „ავანგარდი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი გზა ალპინიზმში

## მ. ხერგიანის ხსოვნას

ცენტრალური ტიან-შანიდან ნალჩიკში დაბრუნდა ყაბარდო-ბალყარეთის მთამსვლელთა ნაკრები გუნდი. სპორტსმენებმა ურთულესი პირველი ასვლა მოახდინეს გორკის მწვერვალის ორკილომეტრიან სამხრეთ-დასავლეთის კედელზე. ეს მარშრუტი შეტანილია სსრ კავშირის პირველობაზე სასიმაღლო-ტექნიკური ასვლების კლასში.

მთამსვლელებმა მხოლოდ მეცამეტე დღეს მიაღწიეს მიზანს. მათ მწვერვალზე დატოვეს ტრადიციული ბარათი, რომელშიც წერია: „ყაბარდო-ბალყარეთის მთამსვლელთა ჯგუფი სპორტის ოსტატების ა. ლეჟენინის, ს. შვედოვის, ს. შაცკის, ვ. ნაუგოლნისა და მთასვლელების ს. შურიშკინის, შ. ბაბაევის, ვ. ტერლეცკისა და ვ. ბოკარევის შემადგენლობით ავედით მწვერვალზე სამხრეთ-დასავლეთის კედლით. ჩვენს ასვლას ვუძღვნით სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ ხერგიანის ხსოვნას."

## „ენბეკის" სამთო იერიში

ალმა-ათა, 21 სექტემბერი. სპორტსაზოგადოება „ენბეკის" მთამსვლელები ტიან-შანიდან დაბრუნდნენ. კოკ-შაალთაუს რაიონში მამაცთა ექვსეულმა დაიპყრო 5986-მეტრიანი პიკი — ქედის უმაღლესი წერტილი.

მოიერიშე ჯგუფს ხელმძღვანელობდა ინჟინერი ი. ჩერეპინსკი. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ მეცნიერი მუშაკი ლ. კისელიოვი, ყარაგანდის № 122 მაღაროს უბნის უფროსი გ. გულნევი, ყაზახეთის სსრ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი ენერგეტიკოსი მ. აკიმენკო. ექსპედიციის დანარჩენი წევრები სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის, ალმა-ათის ბინათმშენებელი კომბინატის მუშაკის ა. ვოლკოვის ხელმძღვანელობით ასვლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ.

● როსტოკი, 21 სექტემბერი. ხელბურთელ ვაჟთა აქ გამართული ტურნირი „ბალტიკის თასზე" მოიგო გდრ-ის ნაკრებმა, რომელმაც ოთხივე მატჩში მიაღწია გამარჯვებას. II ადგილზე გავიდნენ შვედები — 6 ქულა, III — პოლონელები — 4. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა IV ადგილი დაიკავა. გათამაშების ცხრილის ბოლო სტრიქონზეა გდრ-ის მეორე გუნდი.

● პრაღა, 21 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის მძლეოსანთა მატჩში ი. პლახიმ (ჩეხოსლოვაკია) ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა 880 იარდზე რბენაში — 1.46,7. ეს შედეგი ნახევარი წამით უკეთესია ინგლისელი ქ. კარტერის უწინდელ მიღწევაზე. 800 მეტრზე პლახის დრო 1.45,9 იყო. მასპინძელთა შორის თავი გამოიჩინა აგრეთვე ი. კუნოსმა, რომელმაც ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენაში — 20,8. ქალთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ოლიმპიური ჩემპიონის მ. ხიუბნეროვა-რეზკოვას გამარჯვება სიმაღლეზე ხტომაში — 180 სმ. სტუმრებმა ოთხი ეროვნული რეკორდი გააუმჯობესეს. განსაკუთრებით კარგად გამოვიდა თარჯმორბენალი, 23 წლის ა. სალინი. ასპარეზობის პირველ დღეს მან ფინეთის ახალი რეკორდი დაამყარა 110-მეტრიან დისტანციაზე — 13,8 წამი (გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა ლ. ნადენიჩეკმა — 13,7), ხოლო მეორე დღეს — 400-მეტრიან მანძილზე — 49,9. მსოფლიო რეკორდსმენმა ი. კინუნენმა შუბი 83,10 მეტრზე ტყორცნა

● ვიქტორია, 21 სექტემბერი. კანადისა და შვეციის მძლეოსანთა აქ გამართულ მატჩში სტუმარმა კ. ლიუნდგრენმა 400 მ 53,2 წამში გაირბინა. ასე სწრაფად „ნეკერჩხლის ფოთლის ქვეყანაში" ეს მანძილი ჯერ არც ერთ სპორტსმენ ქალს არ გაურბენია. შუბის ტყორცნაში შვეციის ახალი რეკორდი (81,92 მ) დაამყარა რ. ფილმა. მისმა თანამემამულე კ. ლიუნდმარკმა 214 სმ სიმაღლე დაძლია.

● ბუქარესტი, 21 სექტემბერი. რესპუბლიკის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის, შვეიცარიის, უნგრეთის, იტალიისა და რუმინეთის მძლეოსნები. განსაკუთრებით მძაფრი და საინტერესო გამოდგა ჭოკით მხტომელთა შეჯიბრება. გაიმარჯვა იტალიელმა რ. დიონისიმ — 530 სმ. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა წლეულს ევროპაში. II ადგილი რუმინეთის ახალი რეკორდით (510 სმ) დაიკავა დ. პიშტალუმ. უნგრეთის მძლეოსნობის ვეტერანმა, ევროპის 1966 წლის ჩემპიონმა ვ. ვარიუმ ბირთვი 19,46 მეტრზე ჰკრა. უროს ტყორცნაში ყველას აჯობა ახალგაზრდა უნგრელმა მძლეოსანმა ი. ენჩიმ — 67,94 მ. II ადგილზეც უნგრელია — ოლიმპიური ჩემპიონი დ. ჟივოცკი — 66,90. ფ. არეზემ (იტალია) 800 მ 1 წუთსა და 47,7 წამში გაირბინა. ქალთა შორის თავი ისახელეს შეჯიბრების მასპინძლებმა: ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. მანოლიუმ 58,42 მეტრზე ტყორცნა ბადრო, ხოლო 19 წლის კ. პოპესკუმ 180 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა.

● მიუნხენი, 21 სექტემბერი. 1972 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში კ. ვოლფერმანმა (გფრ) თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა შუბის ტყორცნაში —86,46 მ. ეროვნული რეკორდი გააუმჯობესა მ. ლეტცერიჰმაც (გფრ): 3000 მ წინაღობებით მან 8 წუთსა და 37,2 წამში გაირბინა. 400-მეტრიან დისტანციაზე საუკეთესო იყო ავსტრიელი მ. სიკორა — 58,0.

● სოფია, 21 სექტემბერი. ბულგარეთში მიმდინარე ფრენბურთელ ვაჟთა VII მსოფლიო ჩემპიონატის II ტურში საბჭოთა სპორტსმენებმა ქვეჯგუფში მორიგი გამარჯვება მონღოლეთის ნაკრებთან მოიპოვეს — 3.0 (15:4, 15:8, 15:5). დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: გდრ — გვინეა 3.0, ბულგარეთი — ბელგია 3:0, იაპონია — რუმინეთი 3.0, კუბა — ტუნისი 3:0, ისრაელი — ირანი 3:0, საფრანგეთი — ვენესუელა 3:1, პოლონეთი — ბრაზილია 3:1, ჰოლანდია — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 3:1, ჩეხოსლოვაკია — უნგრეთი 3:1, აშშ — ფინეთი 3:2, იუგოსლავია — იტალია 3:2.

СВЕТОВНО ПЪРВЕНСТВО ПО ВОЛЕЙБОЛ ЗА МЪЖЕ И ЖЕНИ · БЪЛГАРИЯ 1970

### საბჭოთა ფრენბურთელების მეორე მოგება

### 3:0 პოპულარული ანგარიშია

# ციდან ჩამოკრეფილი პრიზები და მედლები

ბლედი, 21 სექტემბერი. X მსოფლიო ჩემპიონატი საპარაშუტო სპორტში, რომელიც იუგოსლავიის ამ ქალაქში ტარდებოდა, 1000 მეტრიდან ჯგუფურ ხტომაში შეჯიბრებით დამთავრდა. ამ ვარჯიშში ვაჟთა 25 გუნდი მონაწილეობდა.

გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის კოლექტივმა, რომელმაც წრის ცენტრიდან 110 სმ საშუალო გადახრა აჩვენა. დანარჩენი ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა: იუგოსლავია, კანადა, გდრ, ავსტრია, იტალია, ბულგარეთი, თურქეთი, ავსტრალია, ბელგია. საბჭოთა სპორტსმენები XI ადგილზე არიან მათთვის შეუფერებლად დაბალი შედეგით — 13,84. ასევე წარუმატებლად გამოვიდა მეორე ფავორიტი — აშშ-ს გუნდი (XII ადგილი). პარაშუტისტების შედეგებზე ისევ ამინდმა მოახდინა გავლენა: ჩემპიონატის ბოლო დღეებსაც ქარი და წვიმა ახლდა.

მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პარაშუტისტებისთვის ეს პირველობა უიღბლო იყო. მაგალითად, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ლენინგრადელმა სტუდენტმა ლ. იაჩმენევმა. ვერცხლის მედალი ხვდა ჩეხოსლოვაკიელ ი. პოსპიშილს, ბრინჯაოსი — სსრ კავშირის წარმომადგენელს, გორკელ ვ. შარაბანოვს.

ქალთა შეჯიბრებაში ორი ვარჯიშის ჯამში I ადგილი დაიკავა ფრანგმა მ.-ფ. ბოლესმა. ვოროშილოვგრადელ ვ. ზაკორეცკაიას ვერცხლის მედალი ხვდა. მესამე იყო კანადელი პარაშუტისტი კ. ბრანდი.

ამას გარდა, საბჭოთა გუნდმა მიიღო სპეციალური პრიზი საუკეთესო ნებისმიერი პროგრამისთვის.

საერთო გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს ჩეხოსლოვაკიის პარაშუტისტებმა. II ადგილზე არიან სსრ კავშირის სპორტსმენები.

ახლა საბჭოთა სპორტსმენებს შინ ელით ასპარეზობა: 10-20 ოქტომბერს კიევში დაიწყება სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატი საპარაშუტო სპორტში.

(საკდესი).

## • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABďARUGAS •

### სამშობლოში რომ დარჩენილიყვნენ...

ბრაზილიაში საფეხბურთო ტალანტებს რა გამოლევს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ ქვეყნის სპორტული პრესა „მისტიროს" გამოჩენილ თავდამსხმელებს, რომლებიც სამუდამოდ დაიკარგნენ ეროვნული ფეხბურთისთვის.

აი, ვის ასახელებენ სხვებზე უფრო ხშირად: სორმანის, რომელიც დიდხანს წარმატებით გამოდიოდა „მილანში" ახლა კი „ნაპოლიში" გადაინაცვლა, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო შედეგიან თავდამსხმელ ალტაფინის, რომელმაც ასეთივე გზა გაიარა „მილანიდან" „ნაპოლიმდე", სილვას, რომელიც ბუენოს-აირესის „რესინგში" გადავიდა და არგენტინული ლიგის ერთ-ერთი უპირველესი სნაიპერი გახდა და, რა თქმა უნდა, ამარილდოს. მას ხომ ოდესღაც „თეთრ პელეს" უწოდებდნენ.

● ●

### „ჰემპდენ პარკის" რეკორდები

გლაზგოს გიგანტურ სტადიონ „ჰემპდენ პარკს" ეკუთვნის ევროპული რეკორდები მაყურებელთა დასწრების მხრივ (ადგილობრივი გუნდების, კლუბების საერთაშორისო და ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩები).

1937 წელს ამ სტადიონზე შოტლანდიური კლუბების—„სელტიკისა" და „აბერდინის" შეხვედრას თასის ფინალში 146.433 მაყურებელი დაესწრო. ამავე წელს შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მატჩს 149.574 გულშემატკივარმა უყურა. 1960 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩს „რეალსა" (მადრიდი) და „აინტრაჰტს" (მაინის ფრანკფურტი) 127.621 კაცი დაესწრო.

● ●

### მიულერი — ტელევიზიის მსახიობი

მსოფლიოს IX ჩემპიონატის პირველი სნაიპერი ჰ. მიულერი ამიერიდან ერთმანეთს შეუთავსებს ფეხბურთელისა და მსახიობის საქმიანობას. პოპულარული თავდამსხმელი „ბაიერნში" (მიუნჰენი) გამოსვლასთან ერთად მონაწილეობას მიიღებს მრავალსერიიან სატელევიზიო სათავგადასავლო ფილმში.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ მიულერი ერთ-ერთი შესაძლებელი კანდიდატია „ოქროს ბურთის" კავალერის პოსტზე, თუმცა დასავლეთ გერმანიიდან მას ძლიერ კონკურენციას გაუწევენ ბეკენბაუერი და ზეელერი.



### პირველი დარტყმის უფლება... ჯინა ლოლობრიჯიდას

როგორც ცნობილია, ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა მოსკოვის „სპარტაკისა" და შვეიცარიის „ბაზელის" მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, რომელმაც სპორტის მოყვარულთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა „ბაზელის" კაპიტანმა ოდერმატმა, რომელმაც კავაზაშვილის კარში თავური დარტყმით ბრწყინვალე გოლი გაიტანა.

30 სექტემბერს ეს გუნდები საპასუხო მატჩში ერთმანეთს ბაზელში შეხვდებიან. მანამდე კი „ბაზელი" თავისი ქვეყნის ჩემპიონატის თამაშებში მონაწილეობს და წარმატებითაც — იგი ტურნირის ლიდერია.

ამას წინათ „ბაზელმა" უმასპინძლა ცნობილ იტალიელ... კინომსახიობს ჯინა ლოლობრიჯიდას. ლოლობრიჯიდა ამჟამად შვეიცარიაშია ფილმის გადაღებაზე. ის ამბავი, რომ იტალიელებმა კარგად იციან თამაში, ლოლობრიჯიდამაც დაამტკიცა, როცა შვეიცარიის ჩემპიონატის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში ოსტატურად შეასრულა ბურთზე პირველი დარტყმა. ცნობილი კინომსახიობის გვერდით ბურთის მისაღებად სწორედ „ბაზელის" კაპიტანი ოდერმატი ემზადება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### „ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




### სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

„დინამო" (თბილისი) — ასკ (დონის როსტოვი)

23 სექტემბერს
დუბლშემადგენლობანი

24 სექტემბერს
ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 19 ს.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში 23 და 24 სექტემბერს, აბონემენტებზე — 23 სექტემბერს 12-დან 19 საათამდე. საერთო გაყიდვა 24 სექტემბერს 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

30 აგვისტოს რიცხვით დათარიღებული ბილეთები ვარგისია 24 სექტემბრისთვის.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04422